



## სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	თბ“აკადემია“ - თბ“ლელო“		
გუნდი	თბ“ლელო“	შეჯიბრი	დიდი10
მატჩის თარიღი	19/12/2021	მატჩის ადგილი	თბილისი, რაგბი პლატო
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
მოთამაშე/პიროვნება	მოთამაშე	დაზადების თარიღი	5/8/2000
სახელი, გვარი	ბექა ყორიაული (#8)		
მომჩივანი	მატჩის მსაჯი ნიკა ამაშუკელი	საჩივარი	✓ მიღებულია უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი # 1: 9.12 მოთამაშემ არავინ არ უნდა შეურაცხყოს ფიზიკურად, ფიზიკური შეურაცხყოფა ითვალისწინებს (და არ არის ლიმიტირებული) შემდეგს : <b>მხრით დარტყმა</b>	✓ წითელი ბარათი საითინგი სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	23/12/2021	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი თბილისი, ჭ.ამირეჯიბის #6
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ედუარდ ნაჭყებია, ირაკლი ჩიქავა		
დამრღვევის დასწრება	✓ კი არა	სხვა დამსწრეები :	
დამრღვევის წარმომადგენელი	თბ“ლელო“-ს მენეჯერი ო.პაქსაშვილი	ალნიშნეთ ვინ	კი არა
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მსაჯის ნ.ამაშუკელის წითელი ბარათის ოქმი 19/12/2021 ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა.		



**დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).**

1. მატჩის მსაჯის, ნ. ამაშუკელის წითელი ბარათის ოქმი 19/12/2021
2. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა

**დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)**

არა

#### **დამრღვევის/წარმომადგენლის განცხადება**

თბ „ლელო“-ს მოთამაშემ, ბექა ყორიაულმა, სადისციპლინო კომისიის სხდომაზე განაცხადა, რომ აღიარებს დარღვევას, გამოთქვა წუხილი მომხდარი დარღვევის შესახებ. ბექა ყორიაულმა დარღვევის მიზეზად დაასახელა შეზღუდული დრო და მხედველობის არე, რის გამოც მან ვერ მოახერხა სწორი პოზიციის შერჩევა მოწინააღმდეგესთან კონტაქტის დროს და რომ მისი ქმედება არ იყო შეგნებული/წინასწარ განზრახული. ბექა ყორიაულის თქმით მას თავად აქვს მსაჯობის გამოცდილება და სრულად ეთანხმება მსაჯის გადაწყვეტილებას წითელი ბარათით მისი გაძევების შესახებ.

#### **ფაქტობრივი მოცემულობა**

1. 2021 წლის 19 დეკემბერს გაიმართა დიდი 10-ს X ტურის მატჩი თბ „აკადემია“-სა და თბ „ლელო“-ს შორის.
2. 2021 წლის 20 დეკემბერს სრკ-ს სადისციპლინო სამსახურს წერილობით (წითელი ბარათის ოქმი 19/12/2021) მიმართა ზემოაღნიშნული მატჩის მსაჯმა, ნიკა ამაშუკელმა. წითელი ბარათის ოქმში აღნიშნულია, რომ თამაშის მე-8 წუთზე, თბ „ლელო“-ს მოთამაშე, ბექა ყორიაული (#8), (ციტირება): **„გამართული შევიდა კონტაქტში მეტოქესთან, რომელსაც არ ჰქონდა ბურთი. დაჯახება მოხდა მხრით თავის არეში, თბ „აკადემია“-ს მოთამაშეს დასჭირდა ექიმის დახმარება, მაგრამ გააგრძელა თამაში“.**
3. წითელი ბარათის ოქმში აღნიშნული დარღვევის ამსახველ ვიდეომასალაში მკაფიოდ ჩანს თბ „ლელო“-ს მოთამაშის, ბექა ყორიაულის მხრით დარტყმა მოწინააღმდეგის თავის არეში.



სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით:

1. იმსჯელა დისციპლინარული დარღვევის ფაქტობრივი მოცემულობების შესახებ;
2. გაითვალისწინა თბ „ლელო“-ს მოთამაშის ბეჯა ყორიაულის სუფთა სადისციპლინო ისტორია, მისი საქციელი და განცხადება საქმის განხილვის დროს;
3. იხელმზღვანელა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციით, სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1-თ (9.12 მხრით დარტყმა) და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება :

გადაწყვეტილება			
დარღვევის სტატუსი:	✓ მიღებულია	უარყოფილია	სხვა (აღწერეთ)

სანქციების პროცედურა	
დარღვევის სიმძიმის შეფასება	
სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციებით განსაზღვრული	✓
შეგნებული/წინასწარ განზრახული	<b>წინდაუხედავი/გაუფრთხილებელი</b>
დარღვევის გამომწვევი მიზეზი	
დამრღვევის წინდაუხედავი/გაუფრთხილებელი ქმედება	
დამრღვევის მოქმედების სიმძიმე:	
საშუალო	
მოთამაშის ქმედების ბუნება, მ.შ. რით მოქმედებდა მოამაშე (მუშტი, თავი, იდაყვი, მხარი, მუხლი, ფეხი):	
მხარი	
ჰქონდა თუ არა ადგილი პროვოცირებას:	
არა	
სურდა თუ არა მოთამაშეს თავისი ქმედებით სამაგიეროს გადახდა და როგორ იყო ეს დროში განაწილებული:	
არა	



მოთამაშის მხრიდან ჰქონდა თუ არა ადგილი თავდაცვას (ანუ, მოუწია თუ არა მას გარკვეული ძალის გამოყენებით საკუთარი თავის დაცვა):
არა
რა გავლენა მოახდინა მოთამაშის ქმედებებმა დაშავებულზე (მაგ. ტრავმის სიმძიმე, დაშავებული მეტოქის მოედნიდან გაყვანა):
დაზარალებულს დასჭირდა ექიმის დახმარება(გააგრძელა თამაში)
დარღვევის გავლენა მატჩის მსვლელობაზე
არა
დაშავებულის დაცულობის ხარისხი
არა
დარღვევის ფაქტში ჩართულობის დონე და წინასწარ განსჯის უნარი;
შეზღუდული
შესრულდა მოთამაშის მიერ განზრახული ქმედება თუ მცდელობით შემოიფარგლა;
არა
დარღვევასთან დაკავშირებული მოთამაშის ქცევის სხვა ნებისმიერი ასპექტი.
არა

**დარღვევის ხარისხის შეფასება. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციების დანართი 1 -ის და/ან დანართი 2-ის მიხედვით**

✓

ზედა ზღვარი \* კვირა. შუა ზღვარი 6 (ექვსი) კვირა ქვედა ზღვარი კვირა

\*ზედა ზღვარით შეფასების დროს სადისციპლინო კომისია კვირების რაოდენობას განსაზღვრავს ზედა და მაქსიმალურ ზღვარს შორის.

ზედა ზღვარის მინიჭების განმარტება:



**შესაბამისი შემამსუბუქებელი ფაქტორები:**

დამრღვევის მიერ დანაშულის/შეცდომის აღიარება და აღიარების დრო;	დადებითი სადისციპლინო ისტორია და/ან დადებითი რეპუტაცია;
დამრღვევმა აღიარა დარღვევა, დაეთანხმა მსაჯის გადაწყვეტილებას და წუხილი გამოთქვა მომხდარის შესახებ.	სუფთა სადისციპლინო ისტორია.
მოთამაშის ახალგაზრდობა და გამოუცდელობა;	ქცევა განხილვამდე და განხილვის პროცესში;
	სამაგალითო.
დამრღვევის მიერ ჩადენილი საქციელის გამო სინანულის გრძნობის ე.წ. მსხვერპლისთვის დემონსტრირება და ამ დემონსტრაციის დრო;	ნებისმიერი სხვა შემამსუბუქებელი გარემოება.

**დაკლებული კვირების რ-ბა: 3 (სამი) კვირა**

კვირების დაკლების მიზეზის მოკლე აღწერა : დამრღვევმა აღიარა დარღვევა, დაეთანხმა მსაჯის გადაწყვეტილებას და წუხილი გამოთქვა მომხდარის შესახებ. სუფთა სადისციპლინო ისტორია. სამაგალითო ქცევა მოსმენისას, სადისციპლინო კომისიის სხდომაზე.

**შესაბამისი დამატებითი დამამძიმებელი ფაქტორები:**

მოთამაშის / პიროვნების უარყოფითი სადისციპლინო ისტორია;
არა
დარღვევისგან თავის შეკავების ვალდებულება;
არა
ნებისმიერი სხვა დამამძიმებელი გარემოება;
არა

**დამატებითი კვირების რ-ბა: არა**



## სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი)	3 (სამი) კვირა	წითელი ბარათი საკმარისია
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	24/12/2021	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი	07/03/2022 (სრკ-ს მიმდინარე გრაფიკით)	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	დისკვალიფიცირებულ მოთამაშეს ეკრძალება რაიმე სახის აქტივობა სათამაშო არეში, სრკ-ს მიერ ორგანიზებული ნებისმიერი დონის მატჩების დროს.	

სრკ-ს წევრ სუბიექტზე დაკისრებული ფულადი ჯარიმადა ჯარიმის გადახდის ვადა	არა
U16-U18 და მოყვარულთა დონის გუნდებისათვის ფულადი ჯარიმის 7 კალენდარულ დღეში გადაუხდელობის შემთხვევაში - დასაკლები საცხრილო ქულების რაოდენობა	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	23/12/2021
--------------------------	-------------------------	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო საბჭოში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.